ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 9.09.2013 სხდომის

ოქმი №7

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრიდან - 20

დღის წესრიგი:

1. სხდომის მდივნის არჩევა
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი
2. ფაკულტეტის კურიკულუმში ცვლილებების შესახებ
   მომხს: დ. ოსეფაშვილი
3. ინგლისური ენის კრედიტების განსაზღვრის შესახებ
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი
4. ლ. წულაძის სამეცნიერო-შემოქმედებით მივლინებაში გასვლის შესახებ
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი
5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის მივლინებაში ყოფნის გამო საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი სხდომის მდივნის არჩევის შესახებ

აზრი გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ფ. ასანიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს 9 სექტემბრის სხდომის მდივნად არჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორი თ. მახარაძე

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის კურიკულუმში ცვლილებების პროექტი წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის კურიკულუმში შევიდეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის) და დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს

მოისმინეს: 3. ინგლისური ენის კრედიტების განსაზღვრისა და სასერტიფიკატო "B2" დონეზე სწავლების შესახებ ისაუბრა ნ. მაჭარაშვილმა

აზრი გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, ა. რონდელმა, ნ. კუპრეიშვილმა, ბ. დადეშქელიანმა და სხვ.

დაადგინეს: ინგლისური ენის სწავლების "2" და "3" კრედიტიანი მოდელი შეიცვალოს "5" და "5"-ით და მომზადდეს ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების პაკეტი შემდგომი განხილვისთვის

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო ასოცირებული პროფესორის, ლ. წულაძის, განცხადება (ოქმს თან ერთვის) სამეცნიერო-შემოქმედებით მივლინებაში გასვლის თხოვნისა და შუამდგომლობის გაწევის შესახებ

აზრი გამოთქვეს: რ. გაჩეჩილაძემ, ფ. ასანიშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო ლია წულაძეს შუამდგომლობს რექტორის წინაშე, მიმდინარე სასწავლო წლის I სემესტრში სამეცნიერო-შემოქმედებით მივლინებაში გაშვების შესახებ

მოისმინეს: 5. მიმდინარე საკითხებში ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ნ. მაჭარაშვილმა ისაუბრა:

1).ფაკულტეტზე მიმდინარე მთარგმნელობით და კვლევით პროექტებში პროფესორთა ჩართულობის წახალისების შესახებ

2). ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე "მაინორის" კონტინგენტის 20 სტუდენტით განსაზღვრის შესახებ

3). მიმართულებების მიხედვით სალექციო კურსების ელექტრონული რიდერებით უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომიბის შესახებ

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ნ. მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სხდომის მდივანი: თ. მახარაძე, ასოცირებული პროფესორი

9სექტემბერი, 2013

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

ნანა მაჭარაშვილი – ასოცირებული პროფესორი -

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე – სრული პროფესორი -

ალექსანდრე კუხიანიძე – სრული პროფესორი -

გია ჟორჟოლიანი – ასოცირებული პროფესორი -

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

იოსებ სალუქვაძე – სრული პროფესორი -

რევაზ გაჩეჩილაძე – სრული პროფესორი -

გიორგი გოგსაძე – სრული პროფესორი -

თამარ დოლბაია - ასოცირებული პროფესორი -

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი – სრული პროფესორი -

გიორგი ხელაშვილი – ასისტენტ პროფესორი -

ალექსანდრე რონდელი - სრული პროფესორი -

ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი -

სერგი კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი -

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი – სრული პროფესორი -

ლალი სურმანიძე – ასოცირებული პროფესორი -

თამარ მახარაძე – ასოცირებული პროფესორი -

ნინო დურგლიშვილი – ასოცირებული პროფესორი -

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარიამ გერსამია – სრული პროფესორი -

დალი ოსეფაშვილი – სრული პროფესორი -

მარი წერეთელი – ასოცირებული პროფესორი -

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი -

ნანა ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი -

ფსიქოლოგიის მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე - სრული პროფესორი -

გუგული მაღრაძე - სრული პროფესორი -

თამარ გაგოშიძე - სრული პროფესორი -

ია კუტალაძე - ასოცირებული პროფესორი -

ხათუნა მარწყვიშვილი - ასისტენტ პროფესორი -

მზია წერეთელი - სრული პროფესორი -

სტუდენტური თვითმმართველობა

ლევან ჩოხელი –

დავით მჭედლიშვილი –

ბექა დადეშქელიანი -

ნესი კუპრეიშვილი -

გიორგი ყიფშიძე -

თეონა კვანჭიანი -

გიორგი კაკაურიძე -

ანგარიშ ვიმ
ნ. ...

აა(ი)პ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, ასოც. პროფესორს ნანა მაჭარაშვილს,

ამავე ფაკულტეტის ასოც. პროფესორის ლია წულაძის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2013-14 აკადემიურ წელს (1 ოქტომბერი, 2013 – 30 სექტემბერი, 2014) მიწვეული ვარ ოქსფორდის უნივერსიტეტის წმ. ანტონის კოლეჯში, როგორც სამხრეთ კავკასიის მკვლევარი (Research Fellow in South Caucasus Studies). ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩემი სამუშაო დრო შეადგენს კვირაში 35 საათს და ჩემი მოვალეობაა სემინარებსა და სხვა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობა, აგრეთვე ემპირიული კვლევის ჩატარება ახალგაზრდულ იდენტობებთან დაკავშირებით. ოქსფორდში ჩემი ყოფნის ხარჯებს სრულად ფარავს შვეიცარიული კავკასიური აკადემიური ქსელი (ASCN). გთხოვთ, გამიფორმოთ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის თანამდებობაზე ვიმყოფები 2011 წლის შემოდგომიდან და 2011-12 წლის შემოდგომის სემესტრში კროსკულტურულ კვლევას ვატარებდი აღმ. ევროპელი ახალგაზრდების დისკურსებზე ევროპეიზაციის პროექტთან დაკავშირებით (პოლონეთის, რუმინეთის და საქართველოს მაგალითზე). აღნიშნული კვლევის ფარგლებში, სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების კუთვნილი თანხიდან მიღებული მაქვს 5 თვის ხელფასი და მიმდინარე სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების განმავლობაში ვითხოვ დარჩენილი 5 თვის ხელფასს. გთხოვთ, ეს საკითხი განსახილველად წარადგინოთ ფაკულტეტის უახლოეს საბჭოზე.

პატივისცემით,

ლ. წულაძე

ლია წულაძე

12/08/2013

...ლობის
...ერსიტეტი
...ერებათა
998 10
22 08 2013

დანართი N 1.

1. ახალი სამაგისტრო პროგრამის *„გენდერის კვლევა (ინგლისურენოვანი)“* (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. თამარ საბედაშვილი) დამტკიცება;

2. განხორციელდეს ცვლილებები შემდეგ პროგრამებზე:

ა) საბაკალავრო პროგრამები:

1. საბაკალავრო პროგრამაზე *„ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (დანართი 34)* განხორციელდეს შემდეგი ცვლილება –დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები:

- „კულტურა და ცივილიზაცია“;
- „კინემატოგრაფიის ისტორია“,
- „დოკუმენტური ფილმის სცენარი“.
- „აუდიო ვიზუალური ხელოვნება“.

2. საბაკალავრო პროგრამაზე *„ფსიქოლოგია“ (დანართი 39)* განხორციელდეს შემდეგი ცვლილება – დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი – „ინკლუზიური განათლება“.

3. საბაკალავრო პროგრამაზე *„სოციოლოგია“* – (დანართი 37) *)* განხორციელდეს შემდეგი ცვლილება –დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები:

- „კულტურული განსხვავება და და სამომხმარებლო ქცევა თანამედროვე საზოგადოებებში“ (არჩევითი ინგლისურენოვანი კურსი, 3 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, პედაგოგი: ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუკა გრონოუ).
- „მეცნიერების სოციოლოგია“.

4. საბაკალავრო პროგრამაზე *„ სოციალური მუშაობა“* – (დანართი 38) *)* განხორციელდეს შემდეგი ცვლილება –დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები:

სოციალური მუშაობა ქრონიკული და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე პაციენტებთან ;
სპეციალური ინგლისური ენა (სოციალური მუშაკებისათვის) 1, 2 (არჩევითი კურსი, ჯამში 10 კრედიტი;
სოციალური მუშაობა და მედია;
ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები;

კულტურული განსხვავება და სამომხმარებლო ქცევა თანამედროვე საზოგადოებებში (არჩევითი ინგლისურენოვანი კურსი, 3 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, პედაგოგი: ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუკა გრონოუ).

ბ) სამაგისტრო პროგრამები:

1. სამაგისტრო პროგრამაზე *„ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება" (დანართი 50)* განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   დაემატოს კურსი – „ასაკობრივი ფიზიოლოგია".

2. სამაგისტრო პროგრამაზე *„ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია"* (ინტერდისციპლინური) (დანართი 57) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება –

   დაემატოს შემდეგი არჩევითი კურსები:

- ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „ეთნოლოგია", ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
- ვიზუალური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან "კულტურული დ ა სოციალური ანთროპოლოგია"ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
- ეკონომიკური ანთროპოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან "კულტურული დ ა სოციალური ანთროპოლოგია"ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტეტი)
- სკალირების მეთოდი (დამოკიდებულებების გაზომვის ტექნიკები) (სამაგისტრო პროგრამიდან „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია")
- სოციოლინგვისტიკა
- პიროვნების საკვლევი მეთოდები (ფრაიბურგის პიროვნების კითხვარის მაგალითზე) (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია")
- ფსიქომეტრია (სამაგისტრო პროგრამიდან „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია")
- კვლევითი პროექტი
- პოსტმოდერნული სოციალური თეორიები (სამაგისტრო პროგრამიდან: (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციოლოგია")
- სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია")
- დევიაციური ქცევის ფსიქოლოგია (სამაგისტრო პროგრამიდან „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია") .

3. სამაგისტრო პროგრამაზე *„ევრაზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევები* '(დანართი 56) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   საჯა რო პოლიტიკის ანალიზი" გახდა სავალდებულო და პროგრამას გამოაკლდა კურსი „კვლევის დიზაინი", რომელიც იკითხებოდა მეოთხე სემესტრში და ენიჭებოდა 5 კრედიტი (ამ კურსის ნაცვლად სტუდენტებს ჩაუტარდებათ სავალდებულო სემინარების სერია, რომელიც ჩატარდება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად. სტუდენტებს არ მიენიჭებათ კრედიტი; სემინარების

დასრულების შემდეგ სტუდენტებს ექნებათ კვლევით პროექტების წინასწარი დაცვა).

პროგრამის თანახელმძღვანელად დამტკიცდეს პროფესორი სტივენ ჯონსი.

4. სამაგისტრო პროგრამაზე *„ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“* (დანართი 49) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

დაემატოს არჩევითი უცხოენოვანი სასწავლო კურსი – „მართვის თეორია“ – პროფ. ც. ჰერინგი;

5.სამაგისტრო პროგრამაზე *„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“* (დანართი 47) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

დაემატოს არჩევითი უცხოენოვანი სასწავლო კურსი – „რჩეული საკითხები ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში“. პროფ. ს. ვორშელი.

პროექტის/პროგრამის შეფასება 5 კრ;

ამოღებულია „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“.

6. სამაგისტრო პროგრამაზე *„გენდერის კვლევა“* (დანართი 43) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

ა. პროგრამის ხელმძღვანელი გახდა გენდერის ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი.

ბ. კურსი „აკადემიური წერა და პრეზენტაციის უნარები ჩამოყალიბდა შემდეგი სახელწოდებით: „აკადემიური წერა, პრეზენტაციის უნარები და მონაცემთა ბაზები— . კურსი არის სავალდებულო და ენიჭება 5 კრედიტი.

გ. კურსი „საჯარო პოლიტიკის ანალიზი— გახდა არჩევითი

დ. პროგრამას გამოაკლდა შემდეგი კურსები: „სქესი, რეპროდუქცია და ფენიზმმი—, „პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა

ე. პროგრამას პირველ სემესტრში დაემატა შემდეგი კურსები: „ომი და გენდერი - ქალთა მეხსიერება";„ქალთა უფლებები"

7. სამაგისტრო პროგრამაზე *„სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“* განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

ამოღებულია სპეციალიზებული უცხო ენა;

„საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა“ გახდა 10 კრედიტიანი.

8. სამაგისტრო პროგრამაზე *„სოციოლოგია“*
განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

დაემატა არჩევითი კურსები:

ა) ხელოვნების სოციოლოგია: პოსტმოდერნული დისკურსი ბ) სუბკულტურის სოციოლოგია (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგი: ლიკა წულაძე)
გ) ეკონომიკის სოციოლოგია (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგი: ანა დიაკონიძე)
დ) გენდერი და განვითარება (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, პედაგოგი: თამარ საბედაშვილი)
დ) საზოგადოება, სახელმწიფო და იდეოლოგიები სოციოლოგია (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგი: სალომე დუნდუა)
ე) საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგი: ი. ჭუმბურიძე)
ვ) ანთროპოლოგიური სკოლები (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგი: ქეთევან ხუციშვილი)

9. 8. სამაგისტრო პროგრამაზე „სოციოლოგია“
განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

დაემატა არჩევითი კურსები:

ა) ფსიქიკური აშლილობები და სოციალური მუშაობა (არჩევითი კურსი, 10 კრედიტი, შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგი: ია შეყრილაძე)
ბ) სოციალური მუშაობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგები: სალომე ნამიჭეიშვილი და ქეთევან ხუციშვილი)
გ) სოციალური მუშაობა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან (არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, პედაგოგები: ზურაბ ტატანაშვილი და გიორგი წოწკოლაური)

გ) სადოქტორო პროგრამები:

1. სადოქტორო პროგრამაზე *„მასობრივი კომუნიკაცია“* (დანართი დაემატოს უცხოენოვანი არჩევითი კურსი „მასკომუნიკაციის კვლევის მეთოდები“ (პროფ. ბეკერ ლი);

2. სადოქტორო პროგრამაზე „გენდერის კვლევა“ (ინგლისურენოვანი საერთაშორისო პროგრამა) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება – პროგრამის თანახელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი.